

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. თბილისი

15 იანვარი, 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე; ვახტანგ შავგულიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა გოგოხია.

კომისიის წევრები: ნონა წიკლაური, ალექო ბოგვერაძე.

აპარატის წევრები: ანა ხარებავა (სხდომის მდივანი).

დღის წესრიგი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიქის“ სათავო ოფისის წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები და გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩასატარებლად შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და სატენდერო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის, ვახტანგ შავგულიძის გამოსვლა:

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1706 ბრძანების საფუძველზე, 2016 წლის 30 დეკემბერს გამოცხადდა SPA160032583 ელექტრონული ტენდერი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიქის“ სათავო ოფისის კონსტრუქციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოების ერთობლივ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში დასრულდება SPA160032583 ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიქის“ სათავო ოფისის წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები და გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, რის გამოც კომისიის წევრებს გადაეცა სატენდერო განცხადება, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნები: N006199418, N006154318, N005954618, N004561718 და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 30 ივლისის წერილი N5004771418.

აღსანიშნავია, რომ აღნიშულ შესყიდვაზე 2018 წლის 2 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერი NAT180017383 დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

განიხილეს:


სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია.


კომისიამ დაადგინა:


1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო პირობები.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 10 193 069.00 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით.


3. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრა შემდეგი კლასიფიკატორის შესაბამისად: CPV45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიკის“ სათავე ოფისის წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები და გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) გამოცხადება არაუგვიანეს 2019 წლის 15 იანვრისა.

სატენდერო კომისიის წევრები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - ვ. შავგულიძე 

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ხ. გოგობია 

სატენდერო კომისიის წევრი - ნ. წიკლაური 

სატენდერო კომისიის წევრი - ა. ბოგვერაძე 

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ა. ხარებავა (სხდომის მდივანი) 